

აქციის წესები და პირობები

1. აქციის ჩატარების პერიოდი 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2. მონაწილეები: **ხალიკ ბანკი საქართველოს** სახელფასო პროექტში ჩართული მომხმარებლები.
3. მონაწილეობისთვის მომხმარებლებმა უნდა შეასრულონ რაც შეიძლება მეტი ტრანზაქცია საგადახდო ინსტრუმენტებითა და ინტერნეტ ბანკის საშუალებით.
4. ტრანზაქციის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 5 ლარით.
5. გამარჯვებულად გამოვლინდება 2 მომხმარებელი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: მომხმარებელი რომელსაც ექნება ყველაზე მეტი გადახდის ტრანზაქცია ფიზიკურ და ინტერნეტ სავაჭრო ობიექტებში საგადახდო ინსტრუმენტის საშუალებით და მომხმარებელი რომელსაც ექნება ყველაზე მეტი ტრანზაქცია ინტერნეტ ბანკის საშუალებით.
6. საგადახდო საათი **watch2pay-ით** შესრულებული ტრანზაქციის რაოდენობა გაორმაგდება.
7. მთავარი პრიზი: პრემია, ერთმაგი ხელფასის სახით, რომელიც მომხმარებელს. ერიცხება **ხალიკ ბანკი საქართველოს** საბარათე ანგარიშზე (მაქსიმუმ დარიცხული 1,500 ლარი).
8. პრიზის მესამე პირისთვის გადაცემა დაუშვებელია.
9. აქციის გამარჯვებულებს გამოავლენს ბანკის მიერ დამტკიცებული კომისია. აქციაში მონაწილეობენ მომხმარებლები რომლებსაც ხელფასი ერიცხებათ **ხალიკ ბანკი საქართველოს** საბანკო ბარათებზე.
10. გამარჯვებულები გამოვლინდებიან აქციის დასრულებიდან 10 დღის ვადაში, რის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდებათ SMS-ის და სატელეფონო ზარის საშუალებით.
11. აქციაში არ მონაწილეობენ **ხალიკ ბანკი საქართველოს** თანამშრომლები.
12. აქციასთან დაკავშირებით უკმაყოფილების შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით. პრეტენზიის ფორმა განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე <http://halykbank.ge>.